„ახალგაზრდა კომუნისტი“, 14 ივლისი, 1940 წ.

17 ქულა პირველ წრეში

13 ივლისს **თბილისის “დინამოს”** ფეხბურთელთა სანიმუშო გუნდმა, თავის მოედანზე ჩაატარა პირველი წრის უკანასკნელი კალენდარული მატჩი. დინამოელთა წინააღმდეგ თამაშობდნენ **სტალინოს “სტახანოვეცის”** ფეხბურთელები.

ტაიმის დაწყებისთანავე ბერეჟნოისაგან ზუსტად მიღებული ბურთი უნაკლოდ გამოიყენა პაიჭაძემ, გვერდი აუარა მოწინააღმდეგეს და ძლიერი გარტყმით გახსნა ანგარიში. პირველი ბურთის გატანას “სტახანოვეცის” თავდამსხმელებმა ნახევარდამცველთა ენერგიული დახმარებით ტემპიანი თამაში დაუპირისპირეს. მე–7 წუთზე “დინამოს” კარი ღიად დარჩა, თითქოს უდაო გოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავიანთი კარი იხსნეს გაგუამ, შავგულიძემ და ბერეჟნოიმ.

თამაში კვლავ სტუმრებს მიჰყავთ. მე–15 წუთზე დინამოელთა კარის წინ შექმნილი კრიტიკული მომენტით სარგებლობს შუამარბი კონონენკო. მის მიერ ხელით დარტყმული ბურთი ფეხებში ხვდება კიკნაძეს და ეხვევა ბადეში. ანგარიშია – 1:1.

თამაშის პირველი ნახევრის დასასრულს პაიჭაძე მოხერხებულად აწვდის ბერეჟნოის, რომელსაც გააქვს მეორე ბურთი. შეჯიბრების პირველი 45-წუთიანი ბრძოლა მთავრდება თბილისელთა სასარგებლოდ – 2:1.

მეორე ტაიმში ორივე გუნდის თავდამსხმელებს ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ უშედეგოდ. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, ანგარიშით – 2:1.

ამრიგად, თბილისის “დინამომ” დაამთავრა გათამაშების პირველი წრე. მან 13 მატჩის 26 შესაძლებლიდან მოაგროვა 17 ქულა.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 14 ივლისი, 1940 წ.